

მოსავლის აგრომეტეოროლოგიური პროგნოზები კახეთის რეგიონისათვის

მაია მელაძე

ელ.ფოსტა: maia.meladze@tsu.ge;

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

ი.ჭავჭავაძის პრ. #3, 0179 თბილისი

აგრომეტეოროლოგიური პროგნოზები საშუალებას იძლევა ეფექტურად იქნას გამოყენებული ამინდის პირობები, ოპტიმალურ ვადებში ჩატარდეს შესაბამისი აგროტექნიკური ღონისძიებები. პროგნოზების შედგენისათვის საჭიროა ინფორმაცია მონაცემებზე, ე.ი. საწყის მახასიათებლებზე (პრედიქტორებზე). ძირითადი დაკვირვებები ტარდება შემდეგ მახასიათებლებზე: ჰაერის ტემპერატურა, ატმოსფერული ნალექები, ნიადაგის პროდუქტიული ტენი (0-20, 0-30 სმ სიღრმეზე), მცენარეთა საშუალო სიმაღლე და სხვა.

აგრომეტეოროლოგიური პროგნოზების შედგენისას, გათვალისწინებული უნდა იქნას აგროკულტურების სხვადასხვა ფაზის განვითარებისას, გარემო ფაქტორებისადმი მოთხოვნილება. საშემოდგომო ხორბლის მოსავლის საპროგნოზოდ გამოიყენება აპრილ-მაისის ატმოსფერული ნალექების ჯამი (მმ), ≥ 5 მმ ნალექიან დღეთა რიცხვი და ნიადაგში პროდუქტიული ტენის მარაგი (0-20 სმ სიღრმეზე). მოგვყავს საშემოდგომო ხორბლის კულტურის საპროგნოზო განტოლება:

$$U=0.28x+0.02y+0.12z+0.41, \quad (1)$$

სადაც U - საპროგნოზო მოსავალია (ტ/ჰა), x - ნიადაგში (0-20 სმ სიღრმეზე) პროდუქტიული ტენის მარაგი (მმ-ში), y - ატმოსფერული ნალექების ჯამი (მმ), z - ≥ 5 მმ ნალექიან დღეთა რიცხვი.

სიმინდის კულტურის მოსავლის განსაზღვრისათვის შედგენილია შემდეგი საპროგნოზო განტოლება:

$$U=4.438x-0.626y-5.052z+158.532, \quad (2)$$

სადაც U - საპროგნოზო მოსავალია (ტ/ჰა), x - VI-VII თვეებში ატმოსფერული ნალექების ჯამი (მმ), y - ≥ 5 მმ ნალექიან დღეთა რიცხვი (იმავე პერიოდში), z - ნიადაგის 20 სმ სიღრმეზე პროდუქტიული ტენი (მმ), VI-VII თვეების პერიოდში.

კარტოფილის კულტურის საპროგნოზო მოსავლის განსაზღვრისათვის მოცემულია რეგრესიის განტოლება:

$$U=0.2x+2.02y+46, \quad (3)$$

სადაც U - მოსალოდნელი მოსავალია (ტ/ჰა), x - ივნის-ივლისის თვეების ატმოსფერული ნალექების ჯამი (მმ), y - ≥ 10 მმ ნალექიან დღეთა რიცხვი (იმავე პერიოდში).

კახეთის რეგიონში მზესუმზირას კულტურა, სადაც ნიადაგურ-კლიმატური პირობები ხელს უწყობს მის ნორმალურ ზრდა-განვითარებას და მაღალი მოსავლის მიღებას (1.4-1.6 ტ/ჰა), შეიძლება ფართოდ გავრცელდეს საწარმოო მიზნით. მზესუმზირასათვის საყვავილეების წარმოქმნისა და ყვავილობის პერიოდი წარმოადგენს მოსავლისათვის გადამწყვეტ ეტაპს. აღნიშნული პერიოდი ემთხვევა ივნის-ივლისის თვეებს, რაც გათვალისწინებულია მზესუმზირას მოსავლის საპროგნოზო განტოლებაში:

$$U=0.21x+2.12y+1.868z+45, \quad (4)$$

სადაც U - საპროგნოზო მოსავალია, x - ატმოსფერული ნალექების ჯამი (მმ), y - ≥ 5 მმ ნალექიან დღეთა რიცხვი, z - ნიადაგში (0-30 სმ სიღრმეზე) პროდუქტიული ტენის მარაგი (მმ).